Ketevan Chitaladze
E-mail: Ketevan.chitaladze@tsu.ge
Assistant Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

CONTEMPORARY STATISTICAL TRENDS OF OUTBOUND TOURISM IN GEORGIA

Abstract: *In the conditions of rapid rehabilitation of tourism after the pandemic, in parallel with the increase in the statistical parameters of international inbound tourism, outbound tourism has also become quite active. Against the background of the change in the purpose of the trip, the geographical structure of leading tourism changed, the composition of accompanying persons was adjusted, the average duration of the trip increased, the cost structure was transformed, the amount of expenses incurred changed, the sex ratio of tourists changed, etc. Therefore, it is necessary and interesting to analyze the distinct trends of tourism in the background of these changes and to determine the regularities of development.*
The aim of the paper is to reveal the statistical trends of outbound tourism in Georgia at the modern stage and analyze it.
Research methodology. Statistical observation, gathering-grouping and analysis methods were used in the research process.
results. The rehabilitation of tourism in Georgia was carried out quickly, and it can be said that its scale and area of both international and domestic tourism have significantly expanded. Quantitative measures of tourism statistics indicators in many cases almost exceeded the indicators of the pre-pandemic period. It is true that, on average, the number of international cruise visits to Georgia decreases by 2% every year during the research period, expectations for the development of cruise tourism in the future are positive; Indicators of interest in outbound tourism are high for the age group of 31-50 years; It should be noted that the percentage of women among tourists is increasing. the average number of nights spent during outbound tourism increases; High degree of satisfaction of tourists with the country is maintained; The main purpose of travel for the residents of the country is to visit friends and relatives and shopping; Even in post-pandemic years starting from 2019, 94.4%-97.9% of referral visits each year were repeat visits. Against the backdrop of a decrease in average indicators, the indicators of outbound tourism in 2023 are increasing, and accordingly the amount of tourist expenses incurred by them has also increased, the acceptable airlines for both foreign and Georgian resident respondents were Georgian and Turkish airlines, the price of the low-budget company Wizz Air and the quality of the service received .

Keywords: *Outbound tourism, Analysis, Trend, Geographic structure, Tourist costs.*

JEL classification: *C0*

ქეთევან ჩიტალაძე
E-mail: Ketevan.chitaladze@tsu.ge
ასისტენტ პროფესორი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

გამყვანი ტურიზმის თანამედროვე სტატისტიკური ტენდენციები საქართველოში

აბსტრაქტი: *პანდემიის შემდეგ ტურიზმის სწრაფი რეაბილიტაციის პირობებში საერთაშორისო შემომყვანი ტურიზმის სტატისტიკური პარამეტრების ზრდის პარალელურად, გამყვანი ტურიზმიც საკმაოდ გააქტიურდა. მოგზაურობის მიზნის ცვლილების ფონზე შეიცვალა გამყვანი ტურიზმის გეოგრაფიული სტრუქტურა, კორექტირდა თანმხლები პირების შემადგენლობა, გაიზარდა მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა, ტრანსფორმირდა ხარჯების სტრუქტურა, შეიცვალა გაწეული ხარჯების მოცულობა, შეიცვალა ტურისტთა სქესობრივი თანაფარდობა და ა.შ. ამიტომ, საჭირო და საინტერესოა ამ ცვლილებების ფონზე გამყვანი ტურიზმის გამოკვეთილი ტენდენციების გაანალიზება და განვითარების კანონზომიერებების დადგენა.*
ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამყვანი ტურიზმის სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა თანამედროვე ეტაპზე საქართველოში და მისი ანალიზი.
კვლევის მეთოდოლოგია.კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.
შედეგები. ტურიზმის რეაბილიტაცია საქართველოში სწრაფად განხორციელდა და შეიძლება ითქვას მისი მასშტაბი და არეალი როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმისათის მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ტურიზმის სტატისტიკის ინდიკატორების რაოდენობრივმა ზომამ ხშირ შემთხვევაში თითქმის გადააჭარბა პანდემიამდელ პერიოდის მაჩვენებლებს. მართალია, საკვლევ პერიოდში საშუალოდ ყოველ წელს საერთაშორისო გამყავნი ვიზიტების რაოდენობა საქართველოში 2%-ით მცირდება, გამყვვან ტურიზმის განვთარების მოლოდინები სამომავლოდ პოზიტიურია; გამყვანი ტურიზმით დაინტერესების მაჩვენებლები მაღალია 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის; აღსანიშნავია, რომ იზრდება ტურისტებში ქალების ხვედრითი წილის მაჩვენებლები. იზრდება გამყვანი ტურიზმის დროს გატარებული ღამეების საშუალო რაოდენობა; შენარჩუნებულია ტურისტების ქვეყნით კმაყოფილების მაღალი ხარისხი; მოგზაურობის მთავარი მიზანი ქვეყნის რეზიდენტებისთვის არის მეგობრებისა და ახლობლების მონახულება და შოპინგი; 2019 წლიდან დაწყებული პანდემიის შემდგომ წლებშიც ყოველ წელს გამყვან ვიზიტების 94,4%-97,9% იყო განმეორებითი ვიზიტი. საშუალო მაჩვენებლების შემცირების ფონზე 2023 წლის გამყვანი ტურიზმის მაჩვენებლები მზარდია და შესაბამისად გაზრდილია მათ მიერ გაწეული ტურისტული ხარჯების რაოდენობაც, როგორც უცხო ქვეყნის, ისე საქართველოს რეზიდენტი რესპონდენტებისთვის მისაღებ ავია-კომპანიას წარმოადგენდა საქართველოს და თურქეთის ავიახაზები, Wizz Air -ის დაბალბიუჯეტიანი კომპანიის მგზავრობის ფასი და მიღებული მომსახურების ხარისხი.

საკვანძო სიტყვები: *გამყვანი ტურიზმი, ანალიზი, ტენდენცია, გეოგრაფიული სტრუქტურა, ტურისტული ხარჯები.*
JEL კლასიფიკაცია: *C0*

შესავალი.

ტურისტული ინდუსტრიის განვითარება საქართველოსთვის თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს და პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს. როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურისტული ნაკადების ზრდა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მთავარ ინდიკატორებს წარმოადგენენ და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდის წინაპირობებსაც ქმნიან. საერთაშორისო შემომყვანი ტურიზმის სტატისტიკური პარამეტრების ზრდის პარალელურად, გამყვანი ტურიზმიც საკმაოდ გააქტიურდა. მოგზაურობის მიზნის ცვლილების ფონზე შეიცვალა გამყვანი ტურიზმის გეოგრაფიული სტრუქტურა, ტრანსფორმირდა მოგზაურობის მიზანი, კორექტირდა თანმხლები პირების რაოდენობა და შემადგენლობა, გაიზარდა მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა, შეიცვალა გაწეული ხარჯების მოცულობა და ხარჯების სტრუქტურა, ტურისტთა სქესობრივი თანაფარდობა და ა.შ. ამიტომ, საინტერესოა ამ ცვლილებების ფონზე გამყვანი ტურიზმის გამოკვეთილი ტენდენციების გაანალიზება და განვითარების კანონზომიერებების დადგენა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამყვანი ტურიზმის სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა თანამედროვე ეტაპზე საქართველოში და მისი ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის: შეფარდებითი სიდიდეების, საშუალო სიდიდეების, დროითი მწკრივების, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის და სხვა მეთოდები.

ლიტერატურის მიმოხილვა:

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტურიზმის სექტორის გაძლიერება, რაც განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკის სულ უფრო და უფრო მჭიდრო დამოკიდებულებით ტურიზმზე. (ჩიტალაძე, 2022) მით უფრო, რომ ტურიზმი გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობაში ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების პირველადი წყაროს სახით (Goffi, Cucculelli, M.,, & Cucculelli, M., Masiero L. , 2018) ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ მისი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე, ინვესტიციების, დასაქმების და საგადასახდელო ბალანსის ინდიკატორებზე აშკარაა (Middleton, Fayall, Morgan, Ranchhod, 2009, გვ. 3), რამაც შეიძლება გამოიწვიოს სავაჭრო დეფიციტის შემსუბუქება. (Okroshidze, l F Meyer, & I, 2024)

ფაქტია, რომ საქართველოს ტურისტული პოტენციალი გააჩნია და მისი ამ მიმართულებით განვითარების შესაძლებლობებიც არსებობს. ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით და

ტრადიციებით, რაც შეიძლება ჩაითვალოს ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობად. (Khokhobaia, 2019) სამედიცინო და ველნეს ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები, უნიკალური საზღვაო და მთის კურორტები, გამაჯანსაღებელი და სამკურნალო თვისებების მქონე ჰაერი და წყლის განსაკუთრებული შემცველობა (Abesadze, Kinkladze,R.,, & Paresashvili,N., 2019) ქვეყნის იმიჯის გაძლიერებისა და ცნობადობის ამაღლების საფუძველია.

ტურიზმის განვითარებას მულტიპლიკაციური ეფექტი აქვს. ტურიზმის განვითარება გულისხმობს ძლიერ კურორტებს, მეტ მუშახელს, უმუშევრობის შემცირებას, ვალუტის სტაბილურობას, ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს, ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას, ინვესტიციებს და ა.შ. (Paresashvili & Chitaladze,K., 2019)

დღევანდელი მდგომარეობით, ტურიზმის სწრაფი რეაბილიტაციის პირობებში საერთაშორისო შემომყვანი ტურიზმის სტატისტიკური პარამეტრების ზრდის პარალელურად, გამყვანი ტურიზმიც საკმაოდ გააქტიურდა. შეიცვალა შიდა გადაადგილების სტრუქტურა მოგზაურობის მიზნის ცვლილების გათვალისწინებით, კორექტირდა თანმხლები პირების შემადგენლობა, გაიზარდა მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა, ტრანსფორმირდა ხარჯების სტრუქტურა, შეიცვალა გაწეული ხარჯების მოცულობა, შეიცვალა სქესობრივი თანაფარდობა და ა.შ. პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გაუქმების ფონზე გამყვანი ტურიზმის ინტენსიურად გააქტიურებამ შეცვალა ტურიზმის სტატისტიკის მახასიათებლები და მომავალში მისი კიდევ უფრო განვითარების პოზიტიური მოლოდინები გააჩინა.

ორწლიანი ეკონომიკური გაურკვევლობისა და შოკის შემდეგ, საქართველოში ტურიზმის განვითარება ყველა ასპექტით ნელ-ნელა უბრუნდება პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას. (Abesadze, Abesadze,, Robitashvili, & Kinkladze, 2023) ამიტომ იზრდება ეკონომაკზე მისი გავლენის ხარისხი და მნიშვნელობა, რადგან საქართველოში ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

ფართო გაგებით თუ მივუდგებით, ტურიზმის მნიშვნელობა უფრო მეტია, ვიდრე მისი სოციალური და ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება. ტურიზმი აერთიანებს ტრანსპორტის, მომსახურებისა და სოციალურ და სხვა სფეროებს, რაც კიდევ უფრო ზრდის ტურიზმის სფეროში სწორი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას. ეს გამომდინარეობს იმ რეალობიდან, რომ ქვეყნის ეკონომაკასა და ტურიზმს შორის პირდაპირი კავშირი ვლინდება, კერძოდ, ქვეყნის მაღალი ეკონომიკური პოტენციალის ზრდა და სტაბილურობა წინაპირობაა ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის და პირიქით, ასევე ტურიზმის განვითარების გაძლიერება აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. (Abesadze, Kinkladze, & Paresashvili, Increasing Trends of Tourist Flows from the E European Countries to Georgia, 2019)

ტურიზმისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში უმნიშვნელოვანესია სოციალური ფაქტორები, რომელიც გადამწყვეტია გამყვანი ტურიზმის გააქტიურებისა და განვითარებისათვის. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამყვანი ტურიზმის სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა თანამედროვე ეტაპზე საქართველოში და მისი ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს სტატისტიკური გამოკვლევის ეტაპების: დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდებს, თანამედროვე ქართული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვას, საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალების მასალებს, მონოგრაფიებს და სხვა წყაროებს.

შედეგები

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების მოხსნის თითქმის სამი წლისთავზე ტურიზმის სტატისტიკის ყველა მაჩვენებელი მკვეთრად გაუმჯობესებულია. მზარდი საერთაშორისო ნაკადების გვერდით ვლინდება გამყვანი ტურიზმის განსაკუთრებულად მაღალი ზრდის ტემპები.

2023 წელს ქვეყნის მასშტაბით 2246769 ათასი გამყვანი ვიზიტი დაფიქსირდა, რაც 32%-ით მეტია 2022 წლის და 321.6%-ით მეტი 2021 წლის მაჩვენებელზე, მაგრამ 2019 წლის მაჩვენებელზე 5%-ით ნაკლებია. მაშასადამე პანდემიამდელი პერიოდის მაჩვენებლისთვის გამყვან ტურიზმს ჯერ არ მიუღწევია.

დიაგრამა 1.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა, ათასი კაცი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წელთან შედარებით მატების ტემპმა 2020 წელს შეადგინა 25.9%, 2021 წელს - 22.4%, 2022 - 71.3%, 2023 წელს კი 6%-იანი კლება დაფიქსირდა. 2019-2023

წლებში საშუალოდ ყოველ წელს საერთაშორისო გამყავნი ვიზიტების რაოდენობა 2%-ით მცირდებოდა. 2023 წელს გაუტოლდა 2246769, რაც წინა წელთან შედარებით 32.7%-ითაა მეტი.
გამყვანი ტურიზმით დაინტერესების მაჩვენებლები მაღალია 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ დაბალია სხვა ასაკობრივი ჯგუფის მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2.

საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ათასი კაცი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თანაბრად მზარდია ახალგაზრდა, 15-30 წლისა და 51-70 წლის ასაკობრივი ჯგუფის რეზიდენტების მიერ გამყვანი ტურიზმის სტატისტიკური მახასიათებლები. საშუალოდ ყოველ წელიწადს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 15-30 წლის რეზიდენტების გამყვანი საშუალო თვიური ტურისტული ვიზიტები 4%-ით მცირდებოდა, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდებოდა 31-50 წლის (0,5%), 71+ (0.1%) ასაკობრივი ჯგუფისთვის ანალოგიური მაჩვენებლები, 51-70 წლის რეზიდენტებისთვის კი ვიზიტები საშუალოდ 2,5%-ით მცირდებოდა.
ასაკობრივად ასეთი განსხვავებული ტენდენციების პირობებში, გამყვანი ტურიზმის დროს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატარებული ღამეების რაოდენობა ერთმნიშვნელოვნად მზარდია. ის 2019 წლის 3.9 ღამიდან 2023 წელს 6.5 - მდე გაიზარდა. ბოლო მონაცემებით, 2024 წლის პირველი 6 თვის მიხედვით გამყვანი ტრიზმის დროს ღამეების საშუალო რაოდენობა 6.4-ს შეადგენს. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

გამყვანი ტურიზმის გახანგრძლივებაზე დადებითად მოქმედებს გამყვანი ტურიზმით კმაყოფილების მაღალი ხარისხი.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზმმა აჩვენა, რომ პანდემიამდეც და პანდემიის შემდეგ კმაყოფილების მიხედვით ტურისტების განაწილების სტატისტიკა არ შეცვლილა და მაჩვენებლები ძირითადად ძალიან კმაყოფილ და კმაყოფილ ტურისტებზე ნაწილდება, რამაც ჯამში 2023 წელს 83,6% შეადგინა.

დიაგრამა 3.

ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით, ათასი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტენდენცია უცვლელია მიმდინარე წლის 6 თვის მიხედვითაც. უბრალოდ გაზრდილია ძალიან კმაყოფილი და კმაყოფილი ტურისტების რაოდენობა, მათი წილი 87,6%-ია.

დიაგრამა 4.

ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება კმაყოფილების

დონის მიხედვით (2024 წელი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურისტების ანალიზმა სქესობრივი ნიშნის მიხედვით აჩვენა ქალების განსაკუთრებული გააქტიურების გაზრდილი ინტენსივობა, რის შედეგადაც გამყვანი ტურსტული ვიზიტების რაოდენობაში ქალების მაჩვენებელმა 7%-ით გადაჭარბა პანდემიამდე არსებულ მაჩენებელს, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 33%-ით, კაცებში 2019 წელთან შედარებით 14%-იანი კლება დაფიქსირდა, 2022 წელთან შედარებით კი მატების ტემპმა 33% შეადგინა. (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5.

საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით, ათასი კაცი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამყვანი ტურიზმის ინტენსივობის გაზრდა, აუცილებლად განაპირობებს ვიზიტის მიზნების შესწავლას. რატომ მოგზაურობენ საქართველოს რეზიდენტები? როგორც აღმოჩნდა მოგზაურობის მთავარი მიზანი ქვეყნის რეზიდენტებისთვის არის მეგობრებისა და ახლობლების მონახულება და შოპინგი. თუმცა, ბოლო წლების ტენდენცია მეგობრებისა და ახლობლების მონახულების მაჩვენებლის უპირატეს ზრდას კვეთავს. (იხ. დიაგრამა 6)

დიაგრამა 6.

საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი კაცი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მეტად საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა გამყვანი ტურისტული ვიზიტების რიგითობის კვლევისას. აღმოჩნდა, რომ ძირითადად მოგზაურობენ ის რეზიდენტები, რომლებსაც ერთხელ უკვე ჰქონდათ განხორციელებული ასეთი აქტივობა. 2019 წლიდან დაწყებული პანდემიის შემდგომ წლებშიც ყოველ წელს გამყვანი ვიზიტების 94,4% - 97,9% იყო განმეორებითი ვიზიტი.

დიაგრამა. 7

საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის რიგითობის მიხედვით, ათასი კაცი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიუხედავად ასეთი მზარდი ტემპებისა, განმეორებითი ვიზიტების რაოდენობამ მაინც ვერ გადააჭარბა პანდემიამდელი პერიოდის მაჩვენებელს, 2023 წლის მაჩვენებელი 2,5%-ით ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებელს. პირველადი ვიზიტებისას საშუალოდ ყოველწლიურად რეზიდენტების ვიზიტები მცირდებოდა 1475 ვიზიტით, ხოლო განეორებითი ვიზიტების შემთხვევაში კი 1200 ვიზიტით. საშუალო მაჩვენებლების შემცირების ფონზე 2023 წლის გამყვანი ტურიზმის მაჩვენებლები მზარდია და შესაბამისად გაზრდილია მათ მიერ გაწეული ტურისტული ხარჯების რაოდენობაც.

დიაგრამა 8.

საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯის განაწილება ხარჯის კატეგორიების მიხედვით,
მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჯაჭვური წესით გაანგარიშებული ტურისტული ხარჯების დროითი მწკრივის საანალიზო მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამყვანი ტურიზმის ხარჯების მაჩვენებელმა პიკს მიაღწია 2022 წელს და 2020 წელთან შედარებით 448%-ით გაიზარდა, გაწეულმა ხარჯებმა, მაინც ვერ გადააჭარბა 2019 წლსის მაჩვენებელს. 2023 წლის გამყვანი ტურიზმის ხარჯი 2019 წლის მაჩვენებელზე 2.4%-ით ნაკლებია.

ტურისტული ვიზიტებისა და ხარჯების გაზრდა პირდაპირაა დაკავშირებული საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების ზრდასთან. პირსონის კორელაციის კოეფიციენტმა დაადსტურა გამყვანი ტურიზმისა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის პირდაპირი, ზომიერი კორელაციური კავშირი (კორელაციის კოეფიციენტი 0,43 ტოლია). თუმცა ტურისტული ხარჯების მოცულობაზე მოსახლეობის შემოსავლების კავშირი უფრო ძლიერია (კორელაციის კოეფიციენტი გამოვიდა 0,67). შესაბამისად საქართველოს რეზიდენტების მიერ უცხოეთში მოგზაურობისას ხარჯვის მოცულობა იზრდება შემოსავლების ზრდის

პარალელურად. ცხადია ეს გავლენას ახდენს ტურისტთა ხარჯვის მოცულობაზე, რაც ტურისტული ხარჯების სტრუქტურის კორექტირებასაც განაპირობებს.
ასეთი მზარდი გამყვანი ტურიზმის სტატისტიკური მაჩვენებლების ფონზე საინტერესოა გამყვანი ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა. ამის განსაზღვრისათვის Google Drive-ის პლატფორმაში ჩაშენებული აპილიკაციით სოციალურ ქსელებში გავაზიარეთ სპეციალურად შდგენილი ანკეტა, რომელიც მოიცავდა სოციალურ-დემოგრაფიული და გამყვანი ტურიზმის სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნის მხედვით განსაზრულ 15 შეკითხვას. მიღებული გამოპასუხების შედეგად მოლოდინები ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურია და მიუთითებს გამყვანი ტურიზმის კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით გაძლიერებაზე.

საქართველოს რეზიდენტები უცხოეთში მოგზაურობისას ძირითადად საჰაერო და სახმელეთი ტრანსპორტს იყენებენ. რესპონდენტთა 77 % უპირატესობას ანიჭებს საჰაერო ტრანსპორტს, 21 % სახმელეთო ტრანსპორტს და მხოლოდ 2% საზღვაო ტრანსპორტს (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9.

რესპოდენტთა განაწილება მოგზაურობისას ტრანსპორტის სახეების მიხედვით %



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შდეგების მიხედვით

რესპონდენტებისთვის უფრო მისაღებია საქართველოსა და თურქეთის ავიახაზები, აგრეთვე ავიაკომპანია Wizz Air-ი, რესპონდენტებისათის პრიორიტეტულია ფასი და მომსახურების ხარისხი.

არჩევანის საშუალება რომ მიეცეთ საქაართველოს რეზიდენტი რესპონდენტების 20% გაემგზავრებოდა აშშ-სა და პორტუგალიაში, 18% იტალიაში, ავსტრიაში, ჩეხეთში, ლუქსემბურგსა და ჰოლანდიაში.

დიაგრამა 10.

რესპოდენთა განაწილება სასურველი მოგზაურობის ქვეყნების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

რადგანაც გამყვანი ტურიზმის დროს მოგზაურობის მიზანს ყველაზე მეტად ნათესავებისა და ახლობლების მონახულება წარმოადგენს, ამიტომ, ემიგრაციის მაღალი მაჩვენებლების გამო არცაა გასაკვირი აშშ-სა და იტალიაში გაზრდილი გამყვანი ტურისტული ნაკადები. თითქმის თანაბარად განაწილდა რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებლები მოგზაურობისას გასაწევი ხარჯების სიდიდესთან დაკავშირებით. თუ რესპონდენტების 47% ფიქრობს, რომ მოგზაურობისას დახარჯავენ 1500 ლარამდე, 41%ის აზრით მათი დახარჯების მოსალოდნელი სიდიდე 1500 ლარზე მეტ იქნება.

დიაგრამა 11.

რესპოდენტთა განაწილება დახარჯების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე

ამის გათვალისწინებით განსხვავებულია მოგზაურობის სასურველი ხანგრძლივობის მაჩვენებლები. რესპონდენტთა უმრავლესობისთვის მოკლევადიანი მოგზაურობაა პრიორიტეტული, მაქსიმუმ 8 დღემდე, თუმცა მცირე ვადიანი, სამ დღემდე მისაღები აღმოჩნდა გამოკითხულთა 31%-სათვის.

დიაგრამა 12.

რესპოდენტთა მიერ ქვეყანაში გაჩერების ხანგრძლივობა



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე

დასკვნა:

- მართალია საკვლევ პერიოდში საშუალოდ ყოველ წელს საერთაშორისო გამყავნი ვიზიტების რაოდენობა საქართველოში 2%-ით მცირდება, გამყვან ტურიზმის განვთარების მოლოდინები პოზიტიურია;
- გამყვანი ტურიზმით დაინტერესების მაჩვენებლები მაღალია 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის;
- გამყვანი ტურიზმის დროს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატარებული ღამეების რაოდენობა ერთმნიშვნელოვნად მზარდია. ის 2019 წლის 3.9 ღამიდან 2023 წელს 6.5 -მდე გაიზარდა;
- პანდემიამდეც და პანდემიის შემდეგ კმაყოფილების მიხედვით ტურისტების განაწილების სტატისტიკა არ შეცვლილა და მაჩვენებლები ძირითადად ძალიან კმაყოფილ და კმაყოფილ ტურისტებზე ნაწილდება, რამაც ჯამში 83,6% შეადგინა.
- კვლევამ აჩვენა ქალების განსაკუთრებული გააქტიურების გაზრდილი ინტენსივობა;
- მოგზაურობის მთავარი მიზანი ქვეყნის რეზიდენტებისთვის არის მეგობრებისა და ახლობლების მონახულება და შოპინგი;
- 2019 წლიდან დაწყებული პანდემიის შემდგომ წლებშიც ყოველ წელს გამყვან ვიზიტების 94,4%-97,9% იყო განმეორებითი ვიზიტი;
- საშუალო მაჩვენებლების შემცირების ფონზე 2023 წლის გამყვანი ტურიზმის მაჩვენებლები მზარდია და შესაბამისად, გაზრდილია მათ მიერ გაწეული ტურისტული ხარჯების რაოდენობაც;

- რესპონდენტებისთვის მისაღებია საქართველოს და თურქეთის ავიახაზები, Wizz Air -ის ფასი და მომსახუება;
- რესპონდენტთა უმრავლესობისთვის მოკლევადიანი მოგზაურობაა პრიორიტეტული;
- არჩევანის საშუალება რომ მიეცეთ საქაართველოს რეზიდენტი რესპონდენტების 20% გაემგზავრებოდა აშშ-სა და პორტუგალიაში, 18% იტალიაში, ავსტრიაში, ჩეხეთში, ლუქსემბურგსა და ჰოლანდიაში.

REFERENCES

Abesadze, N., Abesadze,, O., Robitashvili, N., & Kinkladze, R. (2023). Statistical Study Of Priority Directions And Expectations Of Domestic Tourism Rehabilitation In Georgia. *Innovative Economics And Management .Vol 10 No 1.Doi: Https://Doi.Org/10.46361/2449-2604.10.1.2023.104-113*, 104-113.

Abesadze, N., Kinkladze, R., & Paresashvili, N. (2019). Increasing Trends Of Tourist Flows From The E European Countries To Georgia. *Economics And Entrepreneurship, Proceedings* (Pp. 4-11). Riga, Latvia: Rtu.

Abesadze, N., Kinkladze,R.,, & Paresashvili,N. (2019). Increasing Trends Of Tourist Flows From The Europran Countries To Georgia. *Scientific Conference On Economics And Entrepreneurship Proceedings*, (Pp. 1-8).

Goffi, G., Cucculelli, M.,, & Cucculelli, M., Masiero L. . (2018). Goffi, G., Cucculelli, M., Masiero L. (2018). Fostering Tourism Destination Competitiveness In Developing Countries: The Role Of Sustainability. . *Journal Of Cleaner Production, 209*, 101-115.

Khokhibaia, M. (2019). The Role Of Small And Medium Size Enterprises In Regional Tourism Development: The Case Of Georgia . *Business, Management& Economics.* Vienna: 178-188.

Okroshidze, L., L F Meyer, D., & I, K. (2024). An Assessment Of Tourism Competitiveness:A Comparative Analysis Of Georgia And Neighboring Countries. *Ournal Of Eastern European And Central Asian Researchvol.11 No.2*, 377-393.

Paresashvili, N., & Chitaladze,K. (2019). Main Challenges Of Tourism Development. *37th International Scientific Conference On Economic And Social Development* , (Pp. 1426-1432). Baku.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. ს. (2024). Retrieved From Https://Gcaa.Ge/Procentuli-Wili/

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (n.d.). Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ჩიტალაძე, ქ. (2022). COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს ტურიზმზე. *მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში".* თბილისი: თსუ.